

დანართი

1. შეკითხვა

დამატებით დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინფორმაცია ნარჩენი ზეთების საწვავად გამოყენების შესახებ, კოდებისა და დასახელებების მიხედვით, მაგრამ არ არის დაზუსტებული აღდგენის ოპერაციის კოდი, შესაბამისად საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი

აღდგენის ოპერაციის კოდი მითითებულია გზშ პროექტის შესაბამის პარაგრაფში, კერძოდ, პარაგრაფი 3.3.1.(იხილეთ), სადაც ფორმულირებულია შემდეგი ტექსტის სახით: „ნარჩენების ოპერაციის კოდი: R 1 - საწვავად ან სხვაგვარი გამოყენება ენერჯის მისაღებად“. აღნიშნული ჩანაწერის უფრო დაზუსტებისათვის გაცნობებთ, ჩანაწერს მიცემული უნდა ჰქონდეს შემდეგი ფორმულირება:

„აღდგენის ოპერაციის კოდი: R 1 - საწვავად ან სხვაგვარი გამოყენება ენერჯის მისაღებად“.

2. შეკითხვა

წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია თუ როგორ მოახდენს კომპანია პქ-ს (პოლიქლორირებული ბიფენილები) არ შემცველი ზეთების განსხვავებას;

პასუხი

აღნიშნული საკითხი რეგულირდება ჩვენს კონტრაქტორ კომპანია (ა)იპ ნარჩენების მართვის ბიზნეს ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის მიხედვით კონტრაქტორი კომპანია კისრულობს ვალდებულებას, რომ მოწოდებული ნარჩენი ზეთები არ შეიცავდეს პქ-ს (პოლიქლორირებული ბიფენილები). აღნიშნული მითითებულია წინამდებარე წერილზე დანართი 1-ით წარმოდგენილ ხელშეკრულებაში(მუხლი 1, პუნქტი 1.2.).

3. შეკითხვა

წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ნარჩენი ზეთებისა და მაზუთის წვის შედეგად წარმოქმნილი ფერფლის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული ნარჩენი უნდა კლასიფიცირდეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების „ნარჩენების სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად. აუცილებელია წვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენის (ფერფლის) შესახებ წარმოდგენილი იყოს დეტალური ინფორმაცია: ნარჩენის კოდი, დასახელება, წლიურად წარმოქმნილი რაოდენობა და შემდგომი მართვის საკითხები.

პასუხი

ნარჩენი ზეთების წვისას წარმოქმნილ ფერფლს ეწოდება ნაცარი და შედგება არაწვადი მინერალური კომპონენტებისგან, რომლებიც ძირითადად მიიღება ზეთში არსებული დანამატებისა და დამაბინძურებლებისგან. ნაცრის რაოდენობა და შემადგენლობა დამოკიდებულია თავდაპირველი ზეთის ტიპსა და დაბინძურების ხარისხზე. მინერალური კომპონენტები: ნაცარი შეიცავს მეტალურ ელემენტებს, რომლებიც გვხვდება ცვეთის საწინააღმდეგო დანამატებში, როგორცაა კალციუმი, მაგნიუმი, თუთია და გოგირდი. ის ასევე შეიძლება შეიცავდეს მძიმე მეტალების და სხვა არაორგანული დამაბინძურებლების კვალს, რომლებიც ზეთში ხვდება მუშაობის დროს.

რაოდენობა: ნაცრის მოცულობა, როგორც წესი, მცირეა და იზომება ზეთის საწყისი მასის პროცენტულად (მასური ფრაქციით). ამ მნიშვნელობას ეწოდება ნაცრის შემცველობა. მაგალითად, თანამედროვე ძრავის ზეთებს დაბალი ნაცრის შემცველობის აქვთ, დაახლოებით 0.5% -ის ფარგლებში. მოწყობილობაზე ზემოქმედება: ნაცრის დაგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს ნალექების (კოქსის) წარმოქმნა ლუმელებში ან სანთურებში, რაც რეგულარულ გაწმენდას მოითხოვს. ნარჩენი ზეთის სრული წვის შემთხვევაში ნაცრის წარმოქმნას პრაქტიკულად ადგილი არ აქვს, რაც მიიღწევა ქვაბში მფრქვევან სანთურების გამოყენებით, რომელში იწვება ზეთის ორთქლი და წვის ხარისხზე კონტროლის დამყარებით, რათა ადგილი არ ჰქონდეს არასრულ წვას. აღნიშნულის მიღწევის მიზნით განსახორციელებული ღონისძიებები ასახულია ჩვენს მიერ წარმოდგენილ გზშ ანგარიშში, კერძოდ, პარაგრაფი 3.1.4. მიუხედავად გასატარებელი

ლონისძიებებისა, ვუშვებთ, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მცირე რაოდენობით ნაცრის წარმოქმნას, სავარაუდო რაოდენობით 0,003-0,005 ტონა/წელი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების „ნარჩენების სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ მიხედვით აღნიშნული ნარჩენი განეკუთვნება სახიფათო ნარჩენს, კოდით 19.01.11* - „მძიმე ნაცარი და წიდა“, რომელიც შეგროვდება და დროებით განთავსდება ნარჩენების დასაწყობების მოედანზე შესაბამისი ეტიკეტირებით, რომელიც შემდგომ გადაეცემა შპს „სანიტარს“.

4. შეკითხვა

როგორც სააგენტოს 2025 წლის 24 ივნისის N21/6118 წერილით გეცნობათ, საქმიანობასთან მიმართებაში გათვალისწინებული უნდა იქნას „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №327 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, მათ შორის, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად;

პასუხი

კომპანიის მიერ შემუშავებული იქნა ნარჩენების მართვის ღონისძიებები, რომელიც მოიცავს:

- საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების აღწერა;
- ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები;
- პასუხისმგებლობათა განაწილება გეგმის მოთხოვნების შესრულებაზე;
- წარმოქმნილი ნარჩენის სეპარირებული შეგროვებისა და ტრანსპორტირების მეთოდები;
- ნარჩენების კლასიფიკაცია და ინვენტარიზაცია;
- ნარჩენების დროებითი განთავსება, მეთოდები და პირობები;
- ნარჩენების გადაცემა;
- ნარჩენების ტრანსპორტირება, მისი წესები;
- ნარჩენებთან უსაფრთხო მოპყრობის ზოგადი მოთხოვნები;
- უსაფრთხოების ღონისძიებები და შესაძლო ავარიული სიტუაციების პრევენცია ნარჩენების მართვის დროს
- მონიტორინგი ნარჩენების მართვაზე

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების აღწერა

საწარმოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია წარმოიქმნას

1. სახიფათო ნარჩენები
2. მუნიციპალური ნარჩენები
3. არასახიფათო ნარჩენები

სახიფათო ნარჩენები:

საწარმოს ფუნქციონირებისას მოსალოდნელია:

- ნავთობპროდუქტების დაბინძურებული საწმენდი მასალები, ხელთათმანები, ჩვრები დროებით დასაწყობდება შესაბამის ჰერმეტიკულ კონტეინერში (სახიფათო ნარჩენების ფარდულში) შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციაში გადაეცემიან;
- ნავთობპროდუქტების მიღება/გადმოტვირთვისას, ასევე მისი ექსპლუატაციისა და ავარიული დაღვრის შემთხვევაში შესაბამისი გამწმენდი ღონისძიებების შედეგად მიღებული ნარჩენები მოთავსდება ჰერმეტიკულ ჭურჭელში და ლიცენზირებულ კომპანიაზე გადაეცემა მდე შეინახება სახიფათო ნარჩენებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ფარდულში, რომელიც შესაბამისი წესით მოეწყობა.
- ლაზერული პრინტერების ნახმარი კატრიჯები დაუბრუნდება მომწოდებელს, დაიმუხტება და შესაძლებელი იქნება მისი ხელახალი გამოყენება (გადამუხტვა შესაძლებელია

არაერთგზის) ხოლო გადასამუხტად არავარგისი კატრიჯები განთავსდება კარგად შეკრულ პოლიეთილენის პარკებში და

გატანილი იქნება სახიფათო ნარჩენების საცავში განკუთვნილ ადგილზე ;

- მინერალური არაქლორირებული ჰიდრავლიკური ზეთები და სინთეტიკური მექანიკური დამუშავების ზეთების (ამ ეტაპზე არ ფიქსირდება) არსებობის შემთხვევაში შეგროვდება ცალკე-ცალკე ფერმეტულ ჭურჭელში, დასაწყობდება შესაბამის ფარდულში და გადაეცემა ლიცენზირებულ კომპანიას.
- ბატარეების და საათის ელემენტები მოგროვდება და შეინახება სახიფათო ნარჩენების საწყობში, შემდეგ გადაეცემა ლიცენზირებულ კომპანიას.
- ქარხანას ემსახურება 3 ჩანგლიანი დამტვირთველი (მათ შორის 1 ელექტრო) მათი ზეთების, ფილტრების, საბურავებისა და აკუმულატორების შეცვლა მოხდება ლიცენზირებული ინდ. მეწარმის/ორგანიზაციის მიერ, რაც კიდევ უფრო შეამცირებს სახიფათო ნარჩენების რაოდენობას.

არასახიფათო ნარჩენები

- საწარმოში სახმარად გამოუყენებელი შავი და ფერადი ლითონების მოსალოდნელი არსებობის შემთხვევაში, შეგროვდება საწყობში და ჩაბარდება ლიცენზირებულ ჯართის მიმღებ პუნქტში.
- შედუღების შედეგად წარმოქმნილ ნარჩენები შეგროვდება და გადაეცემა შესაბამის ლიცენზირებულ კომპანიას.
- გამონაცვალი ნათურები (არა ლუმინესცენციური) - შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ სათავსოში.
- პოლიეთილენის (ცელოფანის) შესაფუთი მასალები, ასევე პლასტმასი, შეგროვდება და ჩაბარდება პლასტმასების დამამზადებელ საწარმოში.
- მინის დამსხვრეული ბოთლები შეგროვდება კონტეინერში და ჩაბარდება მინის ლეწის მიმღებ ლიცენზირებულ დაწესებულებას.
- მუყაოს შესაფუთი მასალების დიდი ნაწილი გამოყენებულ იქნება არცის ყუთების ტიხრებად.

მუნიციპალური ნარჩენები

საყოფაცხოვრებო სათავსოების და საკვების ნარჩენები, ქაღალდის და მუყაოს ნარჩენები, პოლიეთილენის პარკების ნარჩენები, ტერიტორიის ნახვეტი, ჩამოცვნილი ფოთლები განთავსდება ტერიტორიაზე დადგმულ საოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერებში და პერიოდულად იქნება გატანილი კასპის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მიერ ნაგავსაყრელზე გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად.

ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები

საწარმოს საქმიანობის პროცესში გათვალისწინებული იქნება ნარჩენების პრევენციის და აღდგენის შემდეგი სახის ღონისძიებები:

- საქმიანობის განხორციელების პროცესში ორგანიზებული და დანერგილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, მათი სახეობის და საშიშროების ტიპის მიხედვით. ტერიტორიაზე, შესაბამის უბანზე დაიდგება განსხვავებული ფერის პლასტმასის კონტეინერები, შესაბამისი წარწერებით: ერთი მათგანი განკუთვნილი იქნება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად; მეორე - ისეთი მყარი სახიფათო ნარჩენების შესაგროვებლად როგორცაა: ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა საწმენდი საშუალებები, თხევადი მასისგან თავისუფალი საღებავების ტარა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- ნებისმიერი სახის სამშენებლო მასალა, ნივთები ან ნივთიერება ობიექტის ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სამშენებლო სამუშაოების/ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის. ტერიტორიებზე მასალების ხანგრძლივი დროით დასაწყობება არ მოხდება;
- საჭიროების შემთხვევაში, კონსტრუქციების, ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო ნივთები შემოტანილი იქნება მზა სახით (მაგ. ინერტული მასალები, და სხვ.);
- სამშენებლო მასალების, კონსტრუქციების, ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო ნივთების და ნივთიერებების შესყიდვისას უპირატესობა მიენიჭება გარემოსთვის უსაფრთხო და ხარისხიან პროდუქციას. გადამოწმდება პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;
- უპირატესობა მიენიჭება ხელმეორედ გამოყენებად ან გადამუშავებად, ბიოლოგიურად დეგრადირებად ან გარემოსათვის უვნებლად დაშლად ნივთიერებებს, მასალებს და ქიმიურ ნაერთებს;
- წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებლობისამებრ გამოყენებული იქნება ხელმეორედ (მაგ. ლითონის კონსტრუქციები, პოლიეთილენის მასალები და სხვ.);
- პოლიეთილენის ნარჩენები (შესაფუთი, ჰერმეტიზაციის მასალა). დაგროვდება წარმოქმნის ადგილზე, სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე.

აკრძალულია:

- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება;
- თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ღია, ატმოსფერული ნალექებისგან დაუცველ ტერიტორიაზე;
- რეზინის ან სხვა ნარჩენების დაწვა;
- ზეთების, საპოხი მასალების, ელექტროლიტის გადაღვრა მდინარეში ან კანალიზაციის სისტემებში ჩაშვება;
- აკუმულატორებზე, კატრიჯებზე მექანიკური ზემოქმედება.

პასუხისმგებლობათა განაწილება გეგმის მოთხოვნების შესრულებაზე

კომპანიის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა :

- ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცება;
- ნარჩენების მართვისათვის საჭირო მოწყობილობით, რესურსით და ინვენტარით უზრუნველყოფა;
- ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის პროცესში საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის შესრულების კონტროლი.
- ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმება- რეზოლუცირება;
- ნარჩენების საინვენტარიზაციო უწყისის შეთანხმება- რეზოლუცირება;
- ობიექტის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის პროცესში მონაწილე პირების საქმიანობის კონტროლი.

ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობა:

- ნარჩენების მართვის პროცესის ორგანიზება;
- კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და განახლება;
- ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელება
- ნარჩენების საშიშროების განსაზღვრა;
- საინვენტარიზაციო უწყისის შედგენა;
- ნარჩენების მართვის პროცესის მონიტორინგი და კონტროლი, შედეგების გაფორმება;
- ნარჩენების გატანის თაობაზე მოთხოვნის დამოწმება;

- ნარჩენების უსაფრთხო მართვის წესების ცოდნა და დაცვა ნარჩენების მართვაში მონაწილე პერსონალის მიერ;
- ნარჩენების შეგროვების და შენახვის პირობების შესახებ ინფორმაციის მომზადება;
- მომსახურე პერსონალთან ტრენინგების ჩატარება(ნარჩენების უსაფრთხო მართვის საკითხებზე);
- სახიფათო ნარჩენების, შემდგომი მართვის მიზნით, გარემოსდაცვითი ნებართვის მქონე კონტრაქტორი კომპანიის შერჩევა, ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლი;
- ნარჩენების ტრანსპორტირებაზე ხელშეკრულების ლიცენზირებულ გადამზიდავთან გაფორმება, ან/და გარემოს დაცვის სამინისტროსგან რეკომენდაციის/ნებართვის მოპოვება;
- კომპანიის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა/რეგისტრაცია ჟურნალში და ანგარიშგება სამინისტროში;
- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ნებისმიერი დარღვევის ან გარემოსდაცვითი ინციდენტის გამოვლენის შემთხვევაში განსაზღვროს სათანადო მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებები და უზრუნველყოს მათი ადგილზე განხორციელება;
- ნარჩენების შეგროვებისათვის მოწყობილი კონტეინერების ეტიკეტირება შესაბამისი წარწერებით ან ემბლემებით, რათა შესაძლებელი გახდეს მათი შიგთავსის განსაზღვრა და ზუსტად აღწერა. ეს ასევე აუცილებელია ნარჩენების მართვისა და უსაფრთხოების წესების დაცვისათვის;
- ობიექტიდან ნარჩენების ტრანსპორტირების კონტროლი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნარჩენების მართვად საბოლოო განთავსება;
- ორგანიზება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ნარჩენების მართვის პროცესის.

ნარჩენების მართვის სფეროში ჩართული პერსონალის პასუხისმგებლობა :

- ნარჩენების შეგროვების, შენახვის და განთავსების შესრულება;
- ნარჩენების გატანის თაობაზე შესაბამისი მოთხოვნის გაკეთება.

წარმოქმნილი ნარჩენის სეპარირებული შეგროვებისა და ტრანსპორტირების მეთოდები

საწარმოში ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო, არასახიფათო და მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება ცალ-ცალკე კატეგორიების მიხედვით, შემდგომში მათი სპეციფიკური დამუშავების გაიოლების მიზნით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა - სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევებას. მოხდება ნარჩენების კლასიფიკაცია, ინვენტარიზაცია, იარღიყების დამაგრება. ნარჩენების სეპარაცია და კონტეინერებში განთავსება.

- სპეციალური კონტეინერები განლაგებული იქნება ნარჩენების წარმოქმნის უბანთან ახლოს.
- ობიექტზე დაიდგმება სპეციალური ურნები, სადაც შესაძლებელი გახდება ნარჩენების სეპარაცია
- ნაგვის კონტეინერების დაცლა(საწყობში გადატანა) მოხდება საჭიროებიდან გამომდინარე(კვირაში ერთხელ მაინც - სახიფათო ნარჩენები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები-თვეში ორჯერ).
- სანამ მოხდება ნარჩენების დამუშავების, განთავსების ან/და აღდგენის ადგილზე გატანა, ნარჩენები შეინახება ისე, რომ გამოირიცხოს: შემთხვევითი გაჟონვა ან დაღვრა, მიწის ან მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, კონტეინერების გატეხვა შემთხვევითი შეჯახების შედეგად, ჰაერთან კონტაქტი მეორადი შეფუთვის და/ან თავსახურების გამოყენებით; კონტეინერების კოროზია ან ცვეთა, როგორც გარემოს, ისე თვითონ ნარჩენების მიერ, საამისოდ შეირჩევა კონკრეტული ნარჩენების მიმართ გამძლე კონტეინერები (მაგალითად, ავტომობილის

აკუმულატორები კოროზიის გამძლე პლასტმასის თეფშებზე ან ჯამზე დაიდგმება); სახიფათო ნარჩენები განთავსდება სახიფათო ნარჩენების საწყობში, სადაც გამოირიცხება ნარჩენებთან უცხო პირების კონტაქტი(ქურდობა; ცხოველებთან კონტაქტი.)

- ნარჩენების კონტეინერები შესამაბისი იქნება შესაბამისი ნარჩენების ზომისა, ფორმისა, შემადგენლობისა და ხიფათის შემცველობისა. გამოყენებული იქნება მხოლოდ კარგ მდგომარეობაში მყოფი კონტეინერები, რომელთაც თავსახურები დაეხურებათ. გათვალისწინებული იქნება კონტეინერის შიგ განსათავსებელი ნარჩენის შესაბამისობა, რომ არ მოხდეს ნარჩენისა და კონტეინერის ერთმანეთთან რეაგირება ან მოხდეს ნარჩენის გამოჟონვა.
- ყველა სახის სახიფათო ნარჩენი მკაცრად იქნება სეპარირებული დანარჩენი ნარჩენებისაგან. ერთ კონტეინერში განთავსდება მხოლოდ ერთი სახის სახიფათო ნარჩენები. მყარი და თხევადი ნარჩენები ერთმანეთს არ შეერევა

ნარჩენების კლასიფიკაცია და ინვენტარიზაცია

საწარმოს მიერ ნარჩენების კლასიფიკაცია და ინვენტარიზაცია მოხდა „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს #426 დადგენილების მიხედვით“.

ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა მოხდეს ნარჩენების პირველადი ინვენტარიზაციის დოკუმენტის შედგენა, სადაც მითითებულია იქნება:

- წარმოქმნილი ნარჩენის კოდი;
- ნარჩენის დასახელება
- აღდგენა/განთავსების ოპერაციებისა და ნარჩენის სახიფათო თვისებების განმსაზღვრელი კოდი ნარჩენების კოდექსის დანართების შესაბამისად. ნარჩენების პირველადი ინვენტარიზაციის დოკუმენტი წარდგენილი იქნება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

ნარჩენების კლასიფიკაციის შემდეგ, რომელითაც განისაზღვრება ნარჩენებში საფრთხის შემცველობა, ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი შეადგენს ნარჩენების საინვენტარიზაციო ჟურნალს. ამაში მას დახმარებას გაუწევს ნარჩენების მართვაში ჩართული პერსონალი, რომელიც მიაწოდებს მას ინფორმაციას ობიექტზე არსებული სახიფათო, არასახიფათო და ინერტული ნარჩენების შესახებ, რაც ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელ პირს შემდეგი საკითხების დადგენაში დაეხმარება:

- რა სახის დამუშავებას საჭიროებს (თუ საჭიროებს) მოცემული ნარჩენები;
- როგორი მოპყრობა ესაჭიროება მოცემულ ნარჩენებს (მაგალითად, პირადი დაცვის საშუალებების და სხვა ამგვარის საჭიროება);
- როგორ უნდა იქნეს შენახული მოცემული ნარჩენები (თუ ამგვარი საჭიროა);
- საბოლოო დამუშავების/განადგურების წესი.

იარლიყების დამაგრება:

ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მოხდება კონტეინერების მარკირება, რათა გასაგები გახდეს, თუ რა სახის ნარჩენის ჩაყრა შეიძლება ამა თუ იმ კონტეინერში. ადგილზე ყველა სახის კონტეინერებზე (გორგოლაჭებიანი ყუთები, კასრები და ა.შ.) დამაგრებული იქნება შესაბამისი იარლიყები, რათა გასაგები გახდეს, თუ რა სახის ნარჩენების ჩაყრა შეიძლება ამა თუ იმ კონტეინერში.

ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის, მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებები:

ყველა თანამშრომელი, რომელსაც შეხება ნარჩენებთან გაივლის სპეციალურ მომზადებას (ტრეინინგს შემდეგ სფეროებში:

- სათანადო სეგრეგაციის წესები და პროცედურა;
- ნარჩენებთან მოპყრობა (პირადი დაცვის საშუალებებით სარგებლობა), მათ შორის ნარჩენების შეგროვება ოფისში;
- ნარჩენების დამუშავება;
- ნარჩენების შენახვა;

- მზრუნველობის ვალდებულების სისტემა და დოკუმენტაციის სწორედ გაფორმების წესი.
ნარჩენების დროებითი განთავსება, მეთოდები და პირობები
საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი დასაწყობების უზენებისთვის გათვალისწინებული იქნება შემდეგი პირობების დაცვა:
 - სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის მოეწყობა სასაწყობე სათავსი, შემდეგი მოთხოვნების დაცვით:
 - სათავსს ექნება სათანადო აღნიშვნა და დაცული იქნება უცხო პირების ხელყოფისაგან;
 - სათავსის იატაკი მოპირკეთებული იქნება მყარი საფარით, წყალმიმღები ტრაპით; ნარჩენების განთავსებისათვის მოეწყობა სტელაჟები და თაროები;
 - ნარჩენების განთავსდება მხოლოდ ჰერმეტიკულ ტარაში შეფუთულ მდგომარეობაში, რომელსაც ექნება სათანადო მარკირება.
 - მოედნის საფარი იქნება მყარი;
 - მოედნის მთელ პერიმეტრზე მოეწყობა შემოღობვა და შემოზინვა, რათა გამოირიცხოს მავნე ნივთიერებების მოხვედრა მდინარეში ან ნიადაგზე;
 - მოედანს უნდა გააჩნდეს მოსახერხებელი მისასვლელი ავტოტრანსპორტისათვის;
 - ნარჩენების ატმოსფერული ნალექების და ქარის ზემოქმედებისაგან დასაცავად გათვალისწინებული უნდა იქნას ეფექტური დაცვა (ფარდული, ნარჩენების განთავსება ტარაში, კონტეინერები და ა.შ.);
- დროებითი განთავსების საწყობიდან ნარჩენების გატანა მოხდება დაგროვების შესაბამისად, საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორების საშუალებით.

ნარჩენების გადაცემა

არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების გადაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ პირებზე, რომელთაც გააჩნიათ ნარჩენების აღდგენაზე ან განთავსებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან/და რეგისტრაცია. (მათ შესახებ ინფორმაცია გამოთხოვილი იქნება სამინისტროდან)

ნარჩენების გადაცემა სათანადო წესით გაფორმდება „ნარჩენების გადაცემის ფორმით“ (აღნიშნული ფორმა შეივსება არასახიფათო ნარჩენების გატანის შემთხვევაშიც, თუ მის გატანას არ ახორციელებს მუნიციპალიტეტის/მერიის დასუფთავების სამსახური). ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეივსება შემდეგი ინფორმაცია:

- გადაცემის თარიღი და დრო;
- ნარჩენების აღწერა, რაოდენობის მითითებით;
- ინფორმაცია ნარჩენების მწარმოებლის შესახებ;
- ინფორმაცია ნარჩენების გადამზიდის შესახებ;
- ინფორმაცია მიმღები პირების შესახებ;
- მწარმოებლის, გადამზიდის და მიმღების წარმომადგენლების ხელმოწერა.

ნარჩენების გადაცემის შევსებული ფორმა თან დაერთვება სატრანსპორტო ზედნადებს ნარჩენების წარმოქმნის ობიექტიდან დამუშავების, განთავსების ან აღდგენის ადგილამდე. თითოეულ ნარჩენების გადაცემის ფორმაში მითითებულ უნდა იქნება: ნარჩენების სრული აღწერა, შემადგენლობა, წარმოების პროცესი, შეფუთვის სახე, გადაცემული ნარჩენების საერთო რაოდენობა და სხვა საჭირო ინფორმაცია.

ნარჩენების გადაცემის ფორმა: ნარჩენების გადაცემის ფორმა სამ ეგზემპლარად შეივსება. ნარჩენების გადაცემის ფორმას ხელს მოაწერენ ამისათვის უფლებამოსილი პირები და ქვეკონტრაქტორი, რომელიც ნარჩენების გატანას აწარმოებს; ზედა ეგზემპლარი (პირველი ეგზემპლარი) ობიექტზე რჩება და არქივში ინახება; ქვედა ორ ეგზემპლარს თან წაიღებს გადამზიდავი ნარჩენებს დამუშავების, განთავსების ან აღდგენის ადგილამდე სადაც გადამზიდავი ხელი მოაწერინებს შესაბამის პასუხისმგებელ პირს. (იქვე მითითებული იქნება, რომ ნარჩენები მიღებულ იქნა დანიშნულების ადგილზე); ამის შემდეგ მეორე ეგზემპლარი დარჩება დამუშავების ან განადგურების ობიექტზე, ხოლო მესამე ეგზემპლარს დაიტოვებს გადამზიდავი, რომელსაც იგი

დაუყოვნებლივ გადასცემს ნარჩენების წარმომქმნელს (ან ნარჩენების გატანის მომდევნო ვადის დადგომისას) რის შემდეგაც მესამე ეგზემპლარი დარჩება ნარჩენების წარმოშობის ადგილას და შეინახება პირველ ეგზემპლართან ერთად.

ნარჩენების გადაცემის შევსებული ფორმები შეინახება კონტრაქტის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია არ გასცეს ნარჩენები და ხელი არ მოაწეროს ნარჩენების გადაცემის ფორმას, თუ გააჩნია საფუძველი იფიქროს, რომ ნარჩენებმა სათანადო წესით არ მიაღწია დანიშნულების ადგილამდე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას განახორციელებს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური. წარმოქმნილი ნარჩენები აღდგენის ან განთავსების მიზნით გადაეცემა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე პირებს.

ნარჩენების მართვის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით მიმდინარეობს სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციების მოძიება. საბოლოოდ შეირჩევა ის კომპანიები რომლებთანაც ხელშეკრულების გაფორმება ოპტიმალური ეკოლოგიური და ეკონომიკური ეფექტის მომცემი იქნება.

ნარჩენების ტრანსპორტირება. მისი წესები

ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

ნარჩენებთან უსაფრთხო მოპყრობის ზოგადი მოთხოვნები

- პერსონალს, რომელიც დაკავებულია ნარჩენების მართვის სფეროში (შეგროვება, შენახვა, ტრანსპორტირება, მიღება/ჩაბარება) გავლილი ექნება შესაბამისი სწავლება შრომის დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებში;
- პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. საჭიროების შემთხვევაში პერსონალის ტანსაცმელი ექვემდებარება სპეციალურ დამუშავებას, განსაკუთრებით სახიფათო
- ნარჩენებთან დაკავშირებულ ოპერაციების შესრულების შემდეგ;
- პერსონალს უნდა შეეძლოს პირველადი დახმარების აღმოჩენა მოწამვლის ან ტრავმირების შემთხვევაში ნარჩენებთან მუშაობის დროს;
- სამუშაოზე არ დაიშვება პირი, რომელსაც არ აქვს გავლილი შესაბამისი მომზადება, არა აქვს სპეცტანსაცმელი, ასევე ავადმყოფობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში;
- ნარჩენების შეგროვების ადგილზე დაუშვებელია დადგენილ ნორმაზე მეტი რაოდენობის ნარჩენების განთავსება. დაუშვებელია ნარჩენების განთავსება ნაპერწკალ– და სითბო წარმომქმნელ წყაროებთან ახლოს;
- ნარჩენების რამდენიმე სახის ერთად განთავსების დროს გათვალისწინებული იქნება მათი შეთავსებადობა;
- ნარჩენების დაგროვების ადგილებში დაუშვებელია უცხო საგნების, პირადი ტანსაცმლის, სპეცტანსაცმლის, ინდ. დაცვის საშუალებების შენახვა, ასევე სასტიკად იკრძალება საკვების მიღება;
- ნარჩენებთან მუშაობის დროს საჭიროა პირადი ჰიგიენის წესების მკაცრი დაცვა, ჭამის წინ და მუშაობის დასრულების შემდეგ აუცილებელია ხელების დაბანვა საპნით და თბილი წყლით;
- მოწამვლის ნიშნების შემთხვევაში, სამუშაო უნდა შეწყდეს და პირმა უნდა მიმართოს უახლოეს სამედიცინო პუნქტს და შეატყობინოს ამ შემთხვევაზე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობას.
- ხანძარსა და სხვა სახის უსაფრთხოების ნარჩენების შეგროვების ადგილები იქნება ხანძარქრობის საშუალებებით. ამ სახის ნარჩენების განთავსების ადგილებში სასტიკად იკრძალება მოწვევა და ღია ცეცხლით სარგებლობა;
- პერსონალმა უნდა იცოდეს ნარჩენების თვისებები და ხანძარქრობის წესები.

- ცეცხლმოკიდებული ადვილად აალებადი ან საწვავი სითხეების ჩაქრობა შესაძლებელია ცეცხლმაქრების, ქვიშის საშუალებით;
- ცეცხლმოკიდებული გამხსნელების ჩაქრობა წყლით დაუშვებელია.

უსაფრთხოების ღონისძიებები და შესაძლო ავარიული სიტუაციების პრევენცია ნარჩენების მართვის დროს

ავარიული სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებაზე დაიშვებიან მხოლოდ პირები, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება და ინსტრუქტაჟი.

- პირებმა, რომლებიც არ არიან დაკავებულები ამ სამუშაოებში უნდა დატოვონ სახიფათო ზონა;
- იატაკზე დაღვრილი სახიფათო ნივთიერებები ექვემდებარება გადაუდებელ ნეიტრალიზაციას და მოცილებას, ნახერხის ან მშრალი ქვიშის გამოყენებით. იატაკი უნდა გაიწმინდოს ტილოთი, რის შემდეგ მოირეცხოს წყალში გახსნილი სარეცხი საშუალებით ან სოდის 10%-იანი ხსნარით. ამ სამუშაოების ჩატარების დროს გამოყენებული უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (რესპირატორი, ხელთათმანები და ა.შ.).
- სათავსების იატაკები უნდა იყოს მოწესრიგებული. იატაკის საფარი უნდა იყოს მდგრადი ქიმიური ზემოქმედების მიმართ, რომ გამოირიცხოს სახიფათო ნივთიერებების სორბცია. იმ სათავსებში, სადაც მუშაობის პროცესში გამოიყენება ან ინახება სახიფათო ნივთიერებები, გამოკრული უნდა იყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.
- იმ ადგილებში, სადაც ინახება ზეთები მოწყობილი უნდა იქნას ტევადობები კირის და ქვიშის შესანახად (დაღვრილი სითხეების ნეიტრალიზაციის და შეგროვებისათვის);
- ნამუშევარი ზეთის დასაწყობების ადგილთან ახლოს იკრძალება საშემდებლო სამუშაოების ჩატარება, ფეთქებადსაშიში სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით.
- ნარჩენების აალებასთან დაკავშირებული ავარიული სიტუაციის ლიკვიდაციის დროს გამოიყენება ქაფი, ფხვნილი. ხანძარსაშიში ნარჩენების განთავსების ადგილთან ახლოს მოთავსებული უნდა იყოს ხანძარქრობის საშუალებები.
- აკუმულატორების ელექტროლიტის დაღვრის შემთხვევაში, დაღვრის ადგილი მუშავდება ნახერხით, ნეიტრალიზებული იქნება კირის ხსნარით, ხოლო შემდეგ მოირეცხება წყლით. ელექტროლიტი კანალიზაციაში ჩაშვების წინ უნდა განეიტრალდეს კალცინირებული კირის ხსნარით.
- ადგილები, სადაც წარმოებს საპოხი მასალებთან დაკავშირებული ოპერაციები, აღჭურვილი უნდა იყოს ნამუშევარი ზეთების და ფილტრების შესაგროვებელი ტევადობებით. გამოირიცხული უნდა იქნას ნიადაგისა და ზედაპირული წყლების ზეთით დაბინძურების რისკი.
- იატაკზე დაღვრილი ლაქსაღებავების მასალები ან გამხსნელები გადაუდებლად უნდა მოცილდეს ქვიშის ან ნახერხის საშუალებით.

მონიტორინგი ნარჩენების მართვაზე

ნარჩენების მართვის მონიტორინგი მოიცავს რეგულარულ ვიზუალურ ინსპექტირებას და ნარჩენების მენეჯმენტის კონტროლს. მონიტორინგს ექვემდებარება შემდეგი პროცესები/კომპონენტები:

- კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში განახლება ან/და ცვლილების შეტანა;
- ჩანაწერები საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა/რეგისტრაციის/ტრანსპორტირების საკითხებთან დაკავშირებით;
- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ვადების კონტროლი;
- ნარჩენების მართვის ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო მოწყობილობები და ინვენტარი;
- ნარჩენების წარმოქმნის ახალი წყაროების და სახეობების იდენტიფიცირება;
- ნარჩენების რაოდენობის ცვლილება;

- ნარჩენების დროებითი განთავსების უბნები;
- ნარჩენების განთავსების კონტეინერების ტექნიკური მდგომარეობა;
- ნარჩენების შეგროვებისათვის მოწყობილი კონტეინერების ეტიკეტირება (ცვეთა/დაკარგვა);
- მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შეფასდება ნარჩენებით გარემოზე ზემოქმედების რისკები, განისაზღვრება მათი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შეფასდება ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ეფექტურობა; შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში შემუშავდება მაკორექტირებელი ქმედებები.

საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების ჩამონათვალი და მათი მართვის შესახებ სავარაუდო წინასწარი მონაცემები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში

ცხრილი წარმოქმნილი ნარჩენების ჩამონათვალი და მათი მართვის შესახებ სავარაუდო წინასწარი მონაცემები

N	ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათობის მახასიათებელი	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	წარმოქმნილი ნარჩენების მიახლოებითი რაოდენობა წლების მიხედვით			განთავსება/ აღდგენის ოპერაციები	ნარჩენის მართვა /კონტრაქტორი კომპანიები
						2026 წ	2027	2028		
						12 01 ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და დამუშავებისას				
1.	12 01 13	შედულებისას წარმოქმნილი ნარჩენი	არა	-	მყარი	0,005-0,003ტ	0,002-0,005ტ	0,002-0,005ტ	R4	ლიცენზირებული პირი/ორგანიზაცია
13 05 ნავთობი, ზეთი/წყლის სეპარატორის შიგთავსი										
2.	13 05 02*	ნავთობი, ზეთი/წყლის სეპარატორის (გამყოფი მოწყობილობის) ნალექი ნარჩენები	დიახ	H5, H6, H14, H15 მავნე, ტოქსიკური, ეკოტოქსიკური	თხევადი	0,025-0,035ტ	0,025-0,035ტ	0,025-0,035ტ	D10	შპს „სანიტარი“, ან სხვა ლიცენზირ. ორგანიზაცია
15 01 შესაფუთი მასალა (ცალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით)										
3.	15 01 01	ქალაქისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	არა	-	მყარი	0,2-0,3ტ	0,2-0,3ტ	0,2-0,3ტ	D1	განთავსდება მუნიციპალურ ნარჩენებთან /ჩაბარდება მაკულატურის მიმღებ პუნქტში
15 02 აბორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმის ნივთიერებები										
4.	15 02 02*	აბორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმის ნივთიერებები, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებით	დიახ	H5, H6, H14, H15 მავნე, ტოქსიკური ეკოტოქსიკური	მყარი	0,02-0,03ტ	0,02-0,03ტ	0,02-0,03ტ	D10	შპს „სანიტარი“, ან სხვა ლიცენზირებული ორგანიზაცია
1606 ბატარეები და აკუმულატორები										
5.	16 06 01*	ტყვიის შემცველი ბატარეები	დიახ	H5, H6 – მავნე „ტოქსიკური“ H-15	მყარი	0,001ტ	0,001ტ	0,001ტ	R4	შპს „სანიტარი“, ან სხვა ლიცენზირებული ორგანიზაცია

17 02 ხე, მინა პლასტმასი										
6	17 02 02	მინა	არა	-	მყარი	0,2-0,3ტ	0,2-0,3ტ	0,2-0,3ტ	R3	მოგროვდება სპეც. გამოყოფილ ბუნკერში და ჩაბარდება მინის გადამამუშავებელ საწარმოს შ.პ.ს.„კერე“
7	17 02 03	პლასტმასი	არა	-	მყარი	0,08-0,1ტ	0,08-0,1ტ	0,08-0,1ტ	R3	შპს „ჯეოსთილი“
17 04 მეტალები (მოიცავს მათ შენადნობებსაც)										
	17 04 05	რკინა	არა	-		0,4-0,5 ტ	0,4-0,5 ტ	0,4-0,5 ტ	R4	შპს „ჯეოსთილი“
19 01 ნარჩენები, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების, ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი საწარმოებისა და წყლის ინდუსტრიიდან										
	19.01.11*	მძიმე ნაცარი და წიდა, რომელიც შეიცავს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს	ღიახ	H 6	მყარი	0,003-0,005ტ	0,003-0,005ტ	0,003-0,005ტ	D 15	შპს „სანიტარი“

ნარჩენების ჯგუფი 20 - მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას 20 03 სხვა მუნიციპალური ნარჩენები										
6.	20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	-	მყარი	20 მ ³ /წელ	20 მ ³ /წელ	20 მ ³ /წელ	D 10	კასპის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური
<p>შპს „სანიტარი“ - საქმიანობის მიზანი - „სახიფათო ნარჩენების გაუვნებლობის საწარმო (საწარმოო ქიმიური ნარჩენების ნეიტრალიზაციისა და ნავთობით დაბინძურებული ნიადაგების ბიორემედიაციის პოლიგონის მოწყობა. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000021, კოდი MD1, 08/10/2013 წ. ნებართვის გაცემის საფუძველი - ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №51; 07.10.2013 წ.</p>										

5. შეკითხვა

დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში - ინდ. მეწარმე სერგო ჯოჯიშვილი და ინდ. მეწარმე ტარიელ მწითურიძე არ ფლობენ ნარჩენების დამუშავების (R3-R4 კოდებით) უფლებამოსილებას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ნებართვის მქონე კომპანიების შესახებ ინფორმაცია;

პასუხი

აღნიშნული ნარჩენები, კერძოდ შედუღებისას წარმოქმნილი ნარჩენები და რკინის ჯართი გადაეცემა შპს „ჯეოსთილს“.

შპს „ჯეოსთილი“

საქმიანობის მიზანი - მეტალურგიული წარმოება. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000084, კოდი MD1, 24/08/2017 წ. ნებართვის გაცემის საფუძველი - ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №24; 17.08.2017 წ.

5. შეკითხვა

მხედველობაშია მისაღები, რომ „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილების შესაბამისად, ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს, რაც ხორციელდება ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge);

პასუხი

გათვალისწინებული იქნება;

6. შეკითხვა

როგორც სააგენტოს 2025 წლის 24 ივნისის N21/6118 წერილით გეცნობათ - ვინაიდან საწარმოო მიზნით წყლის აღება ხდება მდინარე ლეხურადან, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულის გათვალისწინებით (მათ შორის ტუმბოს წარმადობა/აღებული წყლის რაოდენობა მ³/წმ) მდინარეზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის წყალაღების კვეთში მდ. ლეხურას ჩამონადენის ჰიდროლოგიური პარამეტრების და ჩამონადენის მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია, ვინაიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია მხოლოდ მდ. ლეხურას ზოგადი ჰიდროლოგიური დახასიათება;

პასუხი

ტუმბოს წარმადობა/აღებული წყლის რაოდენობა მ³/წმ განხილულია გზშ ანგარიშის შესაბამის პარაგრაფში, კერძოდ, პარაგრაფი 3.4.(იხილეთ), ასევე ზღვრულ პროექტში პარაგრაფი 4.1./2(იხილეთ), სადაც მითითებულია ტუმბოს წარმადობა, რაც შეადგენს 0,015მ³/წმ-ს.

მდ. ლეხურას ჩამონადენის ჰიდროლოგიური პარამეტრების და ჩამონადენის მახასიათებლების შესახებ ინფორმაციას მოცემულია ზღვრულ პროექტში პარაგრაფი 2, სადაც მოყვანილია საანგარიშო კვეთში მდ. ლეხურას ჰიდროლოგიური პარამეტრები, კერძოდ, ციტატა „მდინარე იკვებება თოვლის წვიმის და გრუნტის წყლებით. საშუალოწლიური ხარჯი სოფ. მრგვალი ჭალასთან ცვალებადობს 0.68 -3.81 მ³/წმ.-ის ფარგლებში. მაქსიმალური ხარჯი შეიმჩნევა მაისში და შეადგენს 76.7 მ³/წმ. მინიმალური ხარჯი ტოლია 0.05 მ³/წმ.

ჩამონადენი სეზონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება. გაზაფხულზე 45.2% ზაფხულში 19.3% შემოდგომაზე 18.9% და ზამთარში 16.6%.

7. შეკითხვა

ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში გამოყოფის წყაროებად არ არის იდენტიფიცირებული საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ყველა საქვაბე დანადგარი (სარეზერვო ქვაბის ჩათვლით), ასევე, ნამუშევარი ზეთის, მაზუთისა და არყის საამქროს რეზერვუარები (რაოდენობის მითითებით), რაც საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი

საწარმოში არსებობს სამი საქვაბე დანადგარი, ორი საქვაბე დანადგარის ორთქლწარმადობაა 10 ტონა/საათი, ხოლო ერთი მათგანის - 4ტონა/საათი. აღნიშნული საქვაბე დანადგარებიდან მუდმივად მუშაობს ერთი საქვაბე დანადგარი, ორთქლწარმადობით 10 ტონა/საათი, ხოლო საქვაბე დანადგარი წარმადობით 4ტონა/საათი წარმოადგენს ე.წ. დამხმარე დანადგარს, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში, კერძოდ, ძლიერი ყინვის ან ძირითად დანადგარში წნევის რაიმე მიზეზით შემცირების შემთხვევაში დროებით მოვა მოქმედებაში. იმისათვის, რომ სარეზერვო(დამხმარე) საქვაბე დანადგარი განხილული იყოს გაფრქვევის წყაროდ, საჭიროა შემდეგი მონაცემების ცოდნა: საქვაბე დანადგარის მუდმივი მუშაობის დრო წლის განმავლობაში, გამოყენებული საწვავის რაოდენობა და მისი წვის რეჟიმი, რაც ჩვენს შემთხვევაში უცნობია. თქვენს მიერ აღნიშნული საკითხის დაყენების გამო, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თქვენთვის ცნობილია ზემოთ აღნიშნული პარამეტრების მნიშვნელობები, ამიტომ, გთხოვთ გვაცნობოთ, რათა ჩვენს მიერ მოხდეს მათი გათვალისწინება, ასევე თუ მოგვაწვდით სხვა, უფრო გონივრულ წინადადებას, ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ;

რაც შეეხება ნამუშევარი ზეთის, მაზუთის და არყის რეზერვუარებს - მათი რაოდენობა და მოცულობები მითითებულია როგორც გზშ, ასევე ზდგ დოკუმენტში, კერძოდ, ზდგ- პარაგრაფში „ბ“.

წარმოგიდგენთ ამონარიდს (ციტირებას) აღნიშნულთან დაკავშირებით:

ზდგ პროექტი, პარაგრაფი „გ“ - ციტატა: „სს „საქართველოს ნატურალურ პროდუქტთა კომპანიისადმი“ დაქვემდებარებულ საწარმოში სპირტის მიღების ტექნოლოგიურ პროცესში საჭირო ორთქლის გამომუშავებისათვის ძირითადი საწვავის სახედ დაგეგმილია ნამუშევარი ზეთის გამოყენება, რომლის მიღება/გაცემა მოხდება ტერიტორიაზე უკვე არსებული, თითოეული 25,85მ³ ექვსი რეზერვუარიდან სამ რეზერვუარში, ხოლო ორი რეზერვუარი გამოყენებული იქნება მაზუთის მიღება/გაცემისათვის, რომელიც განიხილება ალტერნატიულ საწვავად. ერთი რეზერვუარი გამოყენებული იქნება რომელიმე საწვავის ავარიულად დადგრისას მისი ევაკუაციისათვის. მესამე ალტერნატიულ საწვავად განიხილება ბუნებრივი აირი. ყველა რეზერვუარი წარმოადგენს ლითონის ჰორიზონტალურ რეზერვუარს“.

არყის საამქრო - ციტატა: „, საწარმოს სამხრეთით მდებარე ნაგებობაში ფუნქციონირებს არყის მწარმოებელი საამქრო, სადაც გადაიტვირთება სპირტწყალხსნარი(კუპაჟი). იგი მზადდება სპირტსაცავში არსებულ 48 ტონიან ჭურჭელში(სპირტს ემატება წყალი) გაივლის საკუპაჟე საამქროში არსებულ ნახშირის ფილტრებს, ბრუნდება ისევ სპირტსაცავში და მილის საშუალებით გადადის არყის საამქროს 4 უჟანგავი ლითონის მასალის რეზერვუარში (3ტ თითოეული), საიდანაც - არყის ჩამომსხმელ დანადგარში, რომლის საშუალებით ხდება ბოთლების შევსება. არყის საამქროს რეზერვუარები წარმოადგენს ლითონის უჟანგავი მასალის რეზერვუარებს“.

8. შეკითხვა

ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში წარმოდგენილი არ არის შპს „ქართული ცემენტის“ ცემენტის საწარმოდან წვის პროდუქტებისა და მძიმე მეტალების ემისიები (მათ შორის დარიშხანისთვის ზდგ მაჩვენებლის -0,003 მგ/მ³) გამოყენებით), რაც საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი

შპს „ქართული ცემენტის“ ის გაფრქვევის წყაროები, საიდანაც ადგილი აქვთ წვის პროდუქტებისა და მძიმე მეტალების ემისიებს (მათ შორის დარიშხანისთვის ზდგ მაჩვენებლის - 0,003 მგ/მ³) გამოყენებით), მდებარეობენ ჩვენი საწარმოს 0-ვანი გაფრქვევის წყაროდან 500 მეტრიანი რადიუსის ფარგლებს გარეთ, ამიტომ ბუნებრივია მათი განხილვა არ მოხდა

კუმულაციის ნაწილში, ხოლო ის გაფრქვევის წყაროები, რომელთა მავნე ნივთიერებების ემისიები იდენტურია ჩვენი საწარმოს მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებისა და მდებარეობენ 500 მეტრიანი რადიუსის ფარგლებში განხილულია, რაც ასახულია თითოეული საწვავის წვისას კომპიუტერული მოდელირების გაფრქვევის ანგარიშში, პარაგრაფი „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მანქანურ ამონაბეჭდებში (ზდგ - დანართი 11), სადაც თითოეული საწვავის წვისას გაფრქვევის წყაროთა პარამეტრების ცხრილების ბოლო გრაფებში მოცემულია აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც პროგრამა „ეკოლოგიით“ გათვლილი იქნა ჩვენი საწარმოს გაფრქვევის წყაროებთან ერთად კუმულაციის არსებობა/არ არსებობის დადგენის მიზნით;

9. შეკითხვა

ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში (ზდგ-დანართი 3) წარმოდგენილია მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციები, რომლის მიხედვითაც დარიშხანის კონცენტრაცია შეადგენს 0.0003 მგ/მ³, ხოლო ამავე პროექტის კომპიუტერული მოდელირების გაფრქვევის ანგარიშში დარიშხანის კონცენტრაცია შეადგენს - 0.003 მგ/მ³, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი

დარიშხანის საშუალო სადღეღამისო კონცენტრაცია ყველა მოქმედი მეთოდური მითითების მიხედვით შეადგენს 0,003 მგ/მ³-ს, შესაბამისად, ზდგ დოკუმენტის პარაგრაფში „დ) ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები (ზდგ - დანართი 3)“ ცხრილში მითითებულია არასწორად, მაგრამ იმის გამო, რომ კომპიუტერული მოდელირების გაფრქვევის ანგარიშში აღნიშნული მითითებულია სწორად, გაფრქვევის ანგარიშში შესრულებულია სწორი ვარიანტი. გამომდინარე აღნიშნულიდან, ჩვენს მიერ მიმდინარე ეტაპზე არ მოხდა ახალი ზდგ ნორმების პროექტის წარმოება. მონიტორინგის დოკუმენტაციის წარმოების ეტაპზე მოხდება აღნიშნული შეცდომის აღმოფხვრა;

10. შეკითხვა

ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში გ-1 წყაროს, საქვაბიდან ნამუშევარი ზეთების წვის საანგარიშო ნაწილში, 0,4 კოეფიციენტის გამოყენების საფუძველი საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი

1მ³ ნამუშევარი ზეთის წვისას გამათბობლებში მფრქვევანიანი სანთურებით ატმოსფეროში გაიფრქვევა (კგ/მ³ გამოყენებულ ზეთზე): მყარი ნაწილაკები(PM) – 7,92**A*, სადაც:

სადაც *A*- საწვავში ნაცრის მასური წილია;

ზეთში ნაცრის, ანუ მინერალური მინარევების (დანამატების) შემცველობა განსაზღვრავს ნამუშევარი ზეთის ტიპს და იზომება პროცენტებში, ნაცრის რაოდენობის მიხედვით არსებობს სამი სახის ნამუშევარი ზეთი, კერძოდ, რომელშიც მაღალია ნაცრის შემცველობა (Full SAPS) >1.0%-ზე, საშუალო ნაცრის შემცველობა (Mid SAPS) 0.5-1.0% და დაბალი ნაცრის შემცველობა (Low SAPS) <0.5%, რაც დამახასიათებელია ნახშირის ფილტრებით (DPF) აღჭურვილი თანამედროვე ძრავებისთვის.

თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძრავების მაქსიმალური რაოდენობა სწორედ ასეთი ფილტრებითაა აღჭურვილი, შესაბამისად, აღებული იქნა ნამუშევარი ზეთის ტიპი დაბალი ნაცრის შემცველობით, კერძოდ, <0.5%, ანუ 0,4%; ნაცრიანობის მონაცემების ცხრილი მოცემულია დანართში 2.

11. შეკითხვა

ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში გ-10 წყაროს, მარცვლეულის სეპარატორის საანგარიშო ნაწილში გამოყენებული 0,8 კოეფიციენტი, მითითებული დადგენილების შესაბამისად, წარმოდგენს სამშენებლო მასალების წარმოებისას მავნე

ნივთიერებათა გამოყოფის კოეფიციენტს. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ამასთან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მარცვლეულის გადატვისთვისას, მიღებისას და ტრანსპორტირებისას წარმოდგენილი მეთოდური მითითება საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისი მეთოდოლოგიის წარმოდგენას;

პასუხი

გ-10 წყაროს საანგარიშო ნაწილში გამოყენებულია კოეფიციენტი 0,8, რომლის საზომი ერთეულია გ/მ³, ხოლო სამშენებლო მასალების წარმოებისას გამოყენებული კოეფიციენტი 0,8-ის საზომი ერთეულია კგ/ტ. გაცნობებთ(დაიმახსოვრეთ), რომ გრამი(გ), კილოგრამი(კგ) და ტონა(ტ) არის წონის საზომი ერთეული, ხოლო კუბური მეტრი(მ³) არის მოცულობის საზომი ერთეული. აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო მასალების წარმოებისას 1 ტონა ცემენტის გადატვირთვისას გამოიყოფა 0,8 კილოგრამი ცემენტის მტვერი, ხოლო 1 ტონა მარცვლეულის გადატვირთვისას დახურული(ქაჭვური) ნორიას საშუალებით წარმოქმნილ ჰაერმტვერნარევი მტვრის კონცენტრაცია შეადგენს 0,8 გრამს. ვფიქრობთ, რომ განსხვავებას უკვე ხედავთ.

რაც შეეხება მეთოდური მითითების დაზუსტებას, ჩვენ დიდი ხანია არა მარტო მეთოდური მითითებები, არამედ სხვა ჩვენი ქმედებები დაზუსტებული გვაქვს. ამ შემთხვევაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდური მითითება:

Инструкция №9-1/87 О порядке составления отчетов об охране воздушного бассейна по форме 23-тп (воздух) на предприятиях по хранению и переработке зерна Министерства хлебопродуктов СССР. Министерство хлебопродуктов СССР, რომლის ცხრილში 3 (დანართი 3) ასახულია აღნიშნული მნიშვნელობა (გამოყოფილია წითელი ხაზით).

12. შეკითხვა


როგორც სააგენტოს 2025 წლის 24 ივნისის N21/6118 წერილით გეცნობათ, გზმ-ის ანგარიშში (გვ. 44) მოცემულია საწარმოს გენ.გეგმა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია საწარმოს ობიექტების და ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების შესახებ. ინფორმაცია შენობა-ნაგებობების განთავსებასთან დაკავშირებით არ შეესაბამება საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო გეგმას (დანართი 2.1). შესაბამისად, ზემოაღნიშნული გენ.გეგმა საჭიროებს კორექტირებას;

პასუხი

გზმ-ის ანგარიშში (გვ. 44) მოცემული საწარმოს გენ.გეგმა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია საწარმოს ობიექტების და ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების შესახებ გეთანხმებით, რომ მართლაც არ შეესაბამება საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო გეგმას. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვეცა მას შემდეგ, რაც ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა საწარმო განმეორებითი აზომვა მაღალტექნოლოგიური ხელსაწყო საშუალებით, რის შემდგომ დადგინდა, რომ საჯარო რეესტრის მიერ საკადასტრო გეგმა შესრულებულია ცდომილებებით. ამას მოწმობს არა მარტო ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი, არამედ საჯარო რეესტრის მონაცემები, კერძოდ, საიტზე მოცემული სიტუაციური ნახაზი არ შეესაბამება ორთოფოტოზე მიღებულს, რასაც მოწმობს ქვემოთ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალები.

ორთოფოტო napr maps-ის მიხედვით







დაშტრიხული ნაწილი არის რეალური მდგომარეობა.

აღნიშნულ ორთოფოტოზე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ საჯარო რეესტრის მიხედვით დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობიდან ორი მათგანი მდებარეობს შიდა სავალ გზაზე, რაც შეუძლებელია რომ ასეთი განლაგება არსებობდეს.

არსებული უტყუარი ფაქტებიდან გამომდინარე გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის წარმოებისას ატმოსფერული ჰაერის ნაწილში და არა მარტო, გამოყენებული იქნა ჩვენს მიერ მოპოვებული მასალა, ხოლო რაც შეეხება საკადასტრო გეგმას (გზმ - დანართი 2.1), ამ ეტაპზე რაიმეს შეცვლა შეუძლებელია.

13. შეკითხვა

როგორც სააგენტოს 2025 წლის 24 ივნისის N21/6118 წერილით გეცნობათ გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, გამოყენებული ნამუშევარი ზეთის წლიური რაოდენობა იქნება 1000 ტონა (გვ.45). აქვე, გზმ-ის ანგარიშის მიხედვით (გვ.40), ხელშეკრულებით გათვალისწინებულია წლიურად 500 ტონა ნამუშევარი ზეთის შესყიდვა. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, „აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებული იქნა გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის წარმოების დაწყების მომენტში, რის შემდგომ დიდმა დრომ განვლო. ნამუშევარი ზეთის მოპოვების და ფასების ზრდის გამო, ამჟამად საწარმო მუშაობს ბუნებრივ აირზე, რაც საავარაუდოდ დიდხანს გაგრძელდება. ბაზარზე ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში, მოხდება ხელშეკრულების განახლება.“

შესაბამისად აღნიშნული საკითხი ნამუშევარი ზეთის წლიურ რაოდენობასთან დაკავშირებით დაზუსტებას საჭიროებს;

პასუხი

წლიური რაოდენობა შეადგენს 1000ტონას წლიურად.(დანართი 1 - ხელშეკრულება)

14. შეკითხვა

როგორც სააგენტოს 2025 წლის 24 ივნისის N21/6118 წერილით გეცნობათ გზმ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ნარჩენის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპის/რაოდენობის და შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ ინფორმაცია. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი

ნარჩენების ტრანსპორტირება. მისი წესები

კომპანია ნარჩენების ტრანსპორტირებას მოახდენს საქ. მთავრობის დადგენილება N143 „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად. კერძოდ

ნარჩენების ტრანსპორტირება განხორციელდება კომპანიასა და ნარჩენების გადამზიდველს შორის წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე ან თვით კომპანიის მიერ გადაზიდვის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით:

- ნარჩენების ჩატვირთვა/გადმოტვირთვა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია მაქსიმალურად იქნება მექანიზირებული და ჰერმეტიკული;
- უზრუნველყოფილი იქნება მძღოლები და დამხმარე პერსონალი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- მოხდება სახიფათო ნარჩენების საშიშროებისა და რისკების ნეიტრალიზაცია;
- ნარჩენების ტრანსპორტირება მოხდება ტექნიკურად გამართული, შესაბამისად აღჭურვილი და შესაბამისი დოკუმენტაციის მქონე კომპანიის ერთი კუთვნილი ერთი სატრანსპორტო საშუალებით.
- სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას შედგენილი იქნება „სახიფათო ნარჩენების საინფორმაციო ფურცელი“ და „სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმა“
- უზრუნველყოფილი იქნება სატრანსპორტო საშუალების გაგრილება ტემპერატურისადმი მგრძობიარე ნარჩენების ტრანსპორტირებისას და ნარჩენების სათანადო დაცვა ატმოსფერული ნალექისაგან;

- უზრუნველყოფილი იქნება ერთი და იმავე სატრანსპორტო საშუალებით ერთმანეთთან შეუთავსებელი ნარჩენების ტრანსპორტირების თავიდან აცილება;
- სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს შსს- საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს.(112)
- ნარჩენების გადასატანად გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებას ექნება გამაფრთხილებელი ნიშანი.
- ტრანსპორტირების დროს, თანმხლებ პირს ექნება შესაბამისი დოკუმენტი – „სახიფათო ნარჩენის გატანის მოთხოვნა“, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს ხელმძღვანელობის მიერ.
- სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას გამოყენებული იქნება კვალიფიციური მძღოლის მომსახურება, რომელსაც ექნება სერთიფიკატი მძღოლის სპეციალური მომზადების შესახებ;

ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნება შემდეგი სახის რისკები:

- ავტოავარიები;
- ტვირთის დაბნევა ან დაყრა;
ყოველივე ზემოთ აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად მოხდება:
- ავტომანქანის სისტემატური შემოწმება ტექნიკურ გამართულობაზე და მძღოლის მიერ მოძრაობის სიჩქარის დაცვა;
- ნარჩენების კონტეინერების ჰერმეტიულობის შემოწმება;
- ავტომანქანის დატვირთვისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისი ტვირთამწეობა, რათა თავიდან იქნას აცილებული ავტოტრანსპორტის გადატვირთვა;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებას მარაზე დაგებული ექნება სითხე გაუმტარი ტევადი ჯეომემბრანა, რომელიც უზრუნველყოფს ავარიული დაღვრის ან დაყრისას ნარჩენების შეკავებას მანქანის მარაზე.

ზემოთ აღნიშნული უსაფრთხოების ზომების გათვალისწინების მიუხედავად, თუ მაინც მოხდა ავარიული სიტუაციის შედეგად გარემოს დაბინძურება, მაშინ მძღოლი საგანგებოდ დაუკავშირდება ობიექტის ხელმძღვანელობას, რომელიც სამაშველო ჯგუფის დახმარებით ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გათვალისწინებით ატარებს შესაბამის ღონისძიებას.

ხელშეკრულება №

ქ.თბილისი

09.01.2026წ.

პრეამბულა

ერთის მხრივ(ა)იმ ნარჩენების მართვის ზიზნეს ასოციაცია(ს/კ: 405528727; შემდგომში - „დამკვეთი“), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ივანე მთვრალაშვილის სახით, მეორეს მხრივ ს/ს საქართველოს ნატურალურ პროდუქტთა კომპანია (ს/კ 232539027); შემდგომში - „შემსრულებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ტყემალაძის სახით,

ვალ-ვალზე წოდებული როგორც „მზარე“, ხოლო ერთობლივად წოდებული, როგორც „მზარეები“, „მზარეთა“ ნების თავისუფალი გამოვლენისა დასაქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „დამკვეთის“ მიერ „ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად შეგროვებული ნარჩენი ზეთების (შემდგომში მოხსენიებულის, როგორც „ნარჩენები“) „შემსრულებლისათვის“ გადაცემა ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად სარეგენერაციოდ.
- 1.2. „დამკვეთი“ მის მიერ განსაზღვრული შეგროვების პუნქტებიდან ნარჩენების გადაცემას განახორციელებს ეტაპობრივად,(1000 ტონა 1 წლის განმავლობაში.) გადამუშავების მიზნით ძირითადად მიღებული ნარჩენი ზეთების ჩამონათვალი შემდეგი იქნება : 13 0110 * მინერალური არაქლორირებული ჰიდრავლიკური ზეთები; 13 02 05* ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის მინერალური არაქლორირებული ზეთები და არაქლორირებული ზეთოვანი ლუბრიკანტები; (ჩამოთვლილთაგან არცერთი არ შეიცავს პოლიქლორირებულ ბიფენილებს)
- 1.3. გადაცემული ნარჩენების ოდენობა თვითველ შემთხვევაში განისაზღვრება გადაცემის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.მზარეები თანხმდებიან, რომ „შემსრულებელი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი „დამკვეთის“ მიერ განსაზღვრული ნარჩენების მიღებაზე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ნარჩენების მიღებისა და გადამუშავების შემთხვევაში შესაძლებელია საფრთხე შეექმნას „შემსრულებლის“ მიერ ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე სხვა ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებთან გაფორმებული ნარჩენი ზეთის გადამუშავებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ით წაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

2. ხელშეკრულების შესრულების ვადა და ადგილი

- 2.1. „დამკვეთი“ „შემსრულებლისთვის“ ნარჩენების გადაცემას განახორციელებს ეტაპობრივად, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;
- 2.2. „შემსრულებლის“ მიერ მიღებული ნარჩენების დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- 2.3. ნარჩენების გადაცემას „დამკვეთი“ გახორციელებს „შემსრულებლის“ ფაქტობრივ მისამართზე: ქ.კასპი ი.მაცაბულის ქ.#7
- 2.4. ნარჩენების ოდენობა განისაზღვრება მზარეთა შეთანხმებით გადაცემის მომენტში, რაც აისახება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებულ „ აქტში“;

3. „გადაცემის“ წესი, ღირებულება და ანგარიშსწორება

- 3.1. ნარჩენების ღირებულება გადაცემისყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება მხარეთაწერილობითი შეთანხმებით წინასწარ, ნარჩენების ფაქტისამდე და მიღებასთანავე აქტის გაფორმებამდე;
- 3.2. ნარჩენების გადაცემა დასტურდება „მხარეთა“ შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;
- 3.3. „დამკვეთი“ უფლებამოსილია უარი განაცხადოს „შემსრულებლისათვის“ ნარჩენების შემდგომ გადაცემაზე, თუ „შემსრულებლის“ მიერ გადაცემული ნარჩენების დამუშავების პროცესში გამოვლინდება ამ ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევები;

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 4.1. მხარეები მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით;
- 4.2. „დამკვეთი“ უფლებამოსილია:
 - 4.2.1. შემსრულებლისაგან მოითხოვოს დაკვეთის შესრულება საქართველოს კანონმდებლობასთან ზუსტ შესაბამისობაში, დროულად, ხარისხიანად და კეთილსინდისიერად - სხვა შემთხვევაში კი უარი თქვას მასთან თანამშრომლობის გაგრძელებაზე;
 - 4.2.2. მოითხოვოს შემსრულებელს დაკვეთის არაჯეროვანი შესრულების ან/და შესრულებლობის შედეგად დამკვეთისთვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურება;
- 4.3. „დამკვეთი“ ვალდებულია:
 - 4.3.1. შეძლებისდაგვარად სტაბილურად და ყოველთვიურად უზრუნველყოს შემსრულებელი დაკვეთებით - მის საწარმოო სიმძლავრეებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში;
 - 4.3.2. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ნარჩენი ზეთების გადაცემა (რეგენერაციის ობიექტზე ტრანსპორტირება);
 - 4.3.3. სისტემატურად მიაწოდოს შემსრულებელს ინფორმაცია დაკვეთებით უზრუნველყოფის მდგომარეობაზე;
- 4.4. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია:
 - 4.4.1. საქმის კურსში იყოს და მიიღოს ინფორმაცია „დამკვეთის“ მიერ #327 დადგენილების მთლიანობაში შესრულებასთან დაკავშირებით, მ.შ. სარეგენერაციო დაკვეთებით მისი უზრუნველყოფის მდგომარეობასა და პერსპექტივებზე;
 - 4.4.2. მოითხოვოს „დამკვეთის“ მიერ განსაზღვრული ნარჩენების მის იურიდიულ მისამართზე მიტანა ხელშეკრულების მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად;
- 4.5. „შემსრულებელი“ ვალდებულია:
 - 4.5.1. განახორციელოს „დამკვეთის“ მიერ გადაცემული ნარჩენების გადამუშავებარეგენერაცია, ნარჩენებისმართვის კოდექსით დადგენილი წესებით;
 - 4.5.2. მიიღოს დამკვეთის დავალება და უზრუნველყოს მისი შესრულება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით;
 - 4.5.3. ზედმიწევნით, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები;
 - 4.5.4. აღსაზღაუროს მეორე მხარეს ნებისმიერი სახის ზიანი, რაც გამოწვეული იქნება მის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით ან სხვა არამართებული ქმედებით.

4.5.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

- 5.1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;
- 5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პარამეტრის მიცვლას აუცილებლობა, ცვლილებებს შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;
- 5.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

- 7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მას შემდეგ რაც „შემსრულებელს“ ექნება საქმიანობაზე კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ნებართვა.
- 7.2. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 1 (ერთი) წლის ვადით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 7.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, აღნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებლობის ან არააკუროვანი შესრულების შედეგად მიყენებულ ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფორს-მაჟორი

- 8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შესრულებლობა ანდა რღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
- 8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი გარემოებები (დაუმღეველი ძალა), როგორცაა ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და ა.შ.
- 8.3. მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შესრულებლობის გამოწვევი მიზეზისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ფორს-მაჟორული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი

- შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
- 8.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
 - 8.5. ხელშეკრულების 10.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

9. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების სხვა პირობები

- 10.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არ ააქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილება.
- 10.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 10.3. „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომრებაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.
- 10.4. „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარსს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.
- 10.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:


ა(ა)იპ ნარჩენების მართვის ბიზნეს ასოციაცია

ს/კ: 405528727

ქ. თბილისი, ერედვის

ქუჩა №28ა

ელ-ფოსტა: info@wmbal.gmail.com



ივანე მთვრალაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

შემსრულებელი:

ს/ს „საქართველოს ნატურალურ პროდუქტთა
კომპანია“ იურიდიული მისამართი:

ს/კ: 232539027

ფაქტობრივი მისამართი: ქ. ვასპი ი. მაჩაბელის #7

ელ-ფოსტა: gnp1961@yahoo.com



დირექტორი
გიორგი ტყემალაძე



Зольность отработанных масел определяется их типом (Full/Mid/Low SAPS), показывая содержание минеральных примесей (присадок) после сгорания, и измеряется в процентах, где **высокозольные** (Full SAPS) имеют >1.0%, **среднезольные** (Mid SAPS) 0.5-1.0%, а **низкозольные** (Low SAPS) <0.5%, что важно для современных двигателей с сажевыми фильтрами (DPF) и катализаторами.

Таблица зольности масел (по содержанию сульфатной золы)

Классификация	Содержание сульфатной золы (%)	Примечания
Высокозольные (Full SAPS)	> 1.0% (обычно 1-1.1%)	Для старых двигателей; вызывает отложения, вредит сажевым фильтрам.
Среднезольные (Mid SAPS)	0.5% - 1.0% (обычно 0.6-0.9%)	Компромисс между защитой и экологичностью; для двигателей с DPF.
Низкозольные (Low SAPS)	< 0.5%	Для современных двигателей с сажевыми фильтрами; минимальные отложения.

Что такое зольность

- Зольность – это массовая доля негорючего минерального остатка (золы) после полного сгорания масла, которая состоит из солей металлов, входящих в состав присадок.
- Высокая зольность означает большее количество минеральных присадок (кальций, магний, цинк), которые образуют нагар на деталях двигателя и забивают сажевые фильтры, ухудшая работу двигателя.
- Низкая зольность важна для двигателей с системами очистки выхлопных газов (DPF), так как она предотвращает их засорение.

Таблица 3

Выбор зависимости (рис. 2) для определения концентрации пыли в воздухе, выбрасываемом в атмосферу циклонами элеваторов

Наименование аспирируемого оборудования	Концентрация пыли в воздухе, отходящем от оборудования, г/м ³	Номер зависимости на рис. 2 для пылеуловителя	
		4БЦШ	ЦОЛ
1	2	3	4
Прием зерна с железной дороги (западная яма, насыпные лотки, сбрасывающие коробки)	1,3	3	4
Бункеры норий	2,0	4	5
Насыпные лотки подсилосных транспортеров	0,6	2	4
Сбрасывающие коробки подсилосных транспортеров	2,0	4	5
Автоматические весы, подвесовой и навесовой бункера, головки норий	1,2	3	4
Поворотные круги, надсепараторные бункера	0,6	2	3
Насыпные лотки надсилосных транспортеров	1,5	3	4
Сбрасывающие тележки	0,7	2	3
<u>Цепные транспортеры</u>	<u>0,8</u>	2	3
и пневмотранспорт отходов	3,0	5	6
Воздушно-ситовые сепараторы	По формуле (2.5)	5	6

Таблица 4

Выбор зависимости (рис. 2) для определения концентрации пыли в воздухе, выбрасываемом в атмосферу циклонами подготовительных и шелушильных отделений мукомольных и крупяных заводов

Наименование аспирируемого оборудования	Концентрация пыли в воздухе, отходящем от оборудования, г/м ³	Номер зависимости на рис. 2 для пылеуловителя	
		4БЦШ	ЦОЛ
1	2	3	4
Головки норий производительностью до 20 т/ч, скальператоры	1,3	3	4
Триеры, бураты, камнеотборники, сепараторы шкафного типа	1,2	3	4
Сепараторы воздушно-ситовые, концентраторы	4,0	5	6
Бункеры норий, аспирационные колонки	2,0	4	5
Магнитные колонки, весы, емкости, цепные транспортеры, шнеки	0,6	2	3
Шелушильные, обочные, щеточные машины	2,5	4	5
Падан-машины	1,5	3	4
Рассевы, пневмотранспорт (зерна, отходов)	3,0	4	6